

Thursday 28 February 2013

- [ჩვენ შესახებ](#)
- [კონტაქტი](#)
- [გამოკითხვა](#)
- [მთავარი](#)
- [პოლიტიკა](#)
- [ეკონომიკა](#)
- [საზოგადოება](#)
- [გეოპოლიტიკა](#)
- [რეგიონი](#)
- [თვალსაზრისი](#)
- [დიპლომატიური კორპუსი](#)
- [ვიდეო](#)
- [აუდიო](#)

» [მთავარი](#) » თერგის გარეშე დარჩენილი დარიალი და ჰესი, რომელმაც შესაძლოა ხეობის ეკო-სისტემა შეცვალოს

თერგის გარეშე დარჩენილი დარიალი და ჰესი, რომელმაც შესაძლოა ხეობის ეკო-სისტემა შეცვალოს

- January 26, 2012,
- [მთავარი](#)
- [1 კომენტარი](#)
-

-A +A

Like Send

9 people like this. Be the first of your friends.



„დარიალი ენერჯიმ“ ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების არადამაკმაყოფილებელი ანგარიშების

წარდგენის შემდეგ, მშენებლობა „მწვანე ალტერნატივისა“ და „სტეფანწმინდის“ შენიშვნების გათვალისწინების გარეშე დაიწყო. ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის ინფორმაციით, ჰესების კასკადის მშენებლობა დარიალის ხეობაში, თავიდანვე კანონდარღვევით წარიმართა. სექტემბერში, მშენებლობის დაწყებისას „დარიალი-ენერჯის“ ჯერ კიდევ არ ჰქონდა მოპოვებული გარემოზე ზემოქმედებისა და მშენებლობის ნებართვები. „სტეფანწმინდის“ თავმჯდომარის, შალვა ელოშვილის განცხადებით, „დარიალი ენერჯიმ“ მხოლოდ 2011 წლის 28 ნოემბერს, მშენებლობის დაწყებიდან ორი თვის შემდეგ მოიპოვა გარემოზე ზემოქმედების ნებართვა (ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნა) ხოლო 30 ნოემბერს კი მშენებლობის უფლება.

არასამთავრობო ორგანიზაციების მოთხოვნას, მათთვისაც აეხსნათ მშენებლობის დაწყების საფუძველი და გადაეცათ გაცემული ნებართვები, სამინისტროები დაგვიანებით, მხოლოდ მას შემდეგ გამოეხმაურნენ, რაც კომპანიამ ორივე ნებართვის მოპოვება შეძლო. გარემოს დამცველებისთვის მიუღებელია ის ფაქტიც, რომ მშენებლობა საფუძვლიანი ეკოლოგიური და გეოლოგიური ანალიზის გარეშე დაიწყო. არასამთავრობოები ჰესის აშენებას არ ეწინააღმდეგებიან, თუმცა თვლიან, რომ პროექტში არაა გათვალისწინებული ბევრი დეტალი, რამაც შეიძლება რეგიონში ცვლილებები გამოიწვიოს.

არასამთავრობო ორგანიზაცია „სტეფანწმინდის“ თავმჯდომარე შალვა ელოშვილი:

პროექტის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასებისთვის საჭირო კვლევის ჩატარება „დარიალი ენერჯიმ“ „გამა კონსალტინგს“ დაუკვეთა. კვლევის ანგარიში თითქმის არ განსხვავდება მდინარე ჭოროხზე ჰესების პროექტის მშენებლობისთვის შედგენილი ანგარიშისგან, რომელიც ასევე „გამას“ მიერაა მომზადებული. ანგარიში ზედაპირულად აღწერს იმ სავარაუდო შედეგებს, რაც შეიძლება ჰესის მშენებლობამ გამოიწვიოს. ასევე ბუნდოვანია პროექტის სოციალური გავლენა.

„დარიალი ენერჯის“ ევალუბოდა ამ ანგარიშის საზოგადოებისთვის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაც. მოეწყო თუ არა განხილვები ყაზბეგის მოსახლეობისთვის?

კომპანიამ ორი საჯარო განხილვა მოაწყო გასული წლის 13 აგვისტოს და 8 ნოემბერს. ინფორმაციის არქონის გამო, ადგილობრივი მოსახლეობა თითქმის არ დასწრებია შეხვედრებს, გარდა მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომლებისა და არასამთავრობო ორგანიზაცია სტეფანწმინდის წევრებისა. განხილვების შემდეგ „სტეფანწმიდამ“ პროექტის განმახორციელებელს გაუგზავნა „მწვანე ალტერნატივასთან“ ერთად მომზადებული შენიშვნების პაკეტი, თუმცა კომპანია არ დაინტერესებულა შენიშვნებით. „დარიალი ენერჯი“ ამ ფორმალური განხილვებით შემოიფარგლა.

როგორია ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრება მშენებლობასთან დაკავშირებით?

ყაზბეგის რაიონის მოსახლეობა არ გამოირჩევა ჩართულობის მაღალი დონით, რაც ცოდნისა და ინფორმირების დაბალი დონითა და პასიურობითაა გამოწვეული. ეს მაშინ, როდესაც ექსპერტთა შეფასებით, პროექტი მნიშვნელოვან ზეგავლენას იქონიებს, როგორც

ადგილობრივ მოსახლეობაზე, ასევე გარემოზე. ამასთან, პროექტის ზეგავლენის ობიექტებად მხოლოდ დაბა სტეფანწმინდის და სოფლების – ცდოსა და გველეთის მოსახლეობა იგულისხმება, რეალურად კი ჰესის მშენებლობა გავლენას იქონიებს მთელს რაიონზე, ანუ დანარჩენ სოფლებზეც, მათთვის კი ინფორმაციის მიწოდება საერთოდ არ მომხდარა. აქედან გამომდინარე ადგილობრივ მოსახლეობას აქვს ძალიან მცირე ინფორმაცია (ან საერთოდ არ აქვს) მათ რაიონში მიმდინარე მასშტაბური პროექტის შესახებ. კომპანიის წარმომადგენლები აცხადებდნენ, რომ მოხდება ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმება, რასაც ადგილობრივები იმედით ელიან.

არის თუ არა დაკონკრეტებული რამდენი ადგილობრივი უნდა დასაქმდეს?

შოთა ბუჩუკური – „სტეფანწმინდის“ გამგეობის წევრი:

როგორც პროექტის დოკუმენტშია მითითებული, 3.5 – 4 წლის განმავლობაში, მშენებლობაზე უნდა დასაქმდეს 300 კაცი, ხოლო ექსპლუატაციის ეტაპზე 20 კაცი. აქედან რამდენი იქნება ადგილობრივი მოსახლე, დაკონკრეტებული არაა. პროექტის სპეციფიკიდან გამომდინარე, დასაქმება მხოლოდ შავ მუშად თუ მოხდება, ხოლო ექსპლუატაციაზე თითქმის გამორიცხულია ადგილობრივების დასაქმება. დოკუმენტაციაში აღნიშნულია, რომ „სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები იწარმოებს ვახტური მეთოდით, მუშათა შემადგენლობის მინიმალური რაოდენობით, რომლებიც ფლობენ ორ ან მეტ დარგობრივ პროფესიას.“ ეს ჩანაწერი ამცირებს ადგილობრივების დასაქმების შანსს. მოსახლეობა არასწორადაა ინფორმირებული ელექტროენერჯის შესახებაც. ფიქრობენ, რომ ჰესის აშენების შემთხვევაში შეღავათებს მიიღებენ. კომპანიის წარმომადგენლების განცხადებით, ჰესის აშენება არანაირ შეღავათს არ გულისხმობს მოსახლეობისთვის, თუმცა ეს გაუგებრობაც იმის გამო ხდება, რომ საჯარო განხილვებს მხოლოდ ფორმალური ხასიათი ჰქონდა. პროექტის ერთადერთი დადებითი მხარე ისაა, რომ კომპანია ქონების გადასახადს ადგილობრივ ბიუჯეტში გადაიხდის, რაც ჰესის ღირებულების 1%-ს გულისხმობს.

რა ცვლილებები შეიძლება გამოიწვიოს ჰესის მშენებლობამ ეკოლოგიური თვალსაზრისით?

ქეთი გუჯარაიძე „მწვანე ალტერნატივის“ ანალიტიკოსი:

ჰესის მშენებლობა და ოპერირება გამოუსწორებელ ზიანს მიაყენებს დარიალის ხეობას და მის ეკოსისტემას. დარიალის ჰესის გამო, ხეობის 8 კმ სიგრძის მონაკვეთზე მდინარე თერგი პრაქტიკულად აღარ იარსებებს! ეს იქნება მცირე მდინარე, რომელიც ცივი ზამთრის პირობებში, ძალზე დიდი ალბათობით, გაიყინება!

გარდა ამისა, სულ 11 კმ სიგრძის დარიალის ხეობის 8 კმ-იანი მონაკვეთი, სამუდამოდ თუ არა, 50 წელზე მეტი ხნით აბსოლუტურად შეიცვლის იერსახეს. ნებისმიერი განათლებული ქართველისთვის სიახლეს არ უნდა წარმოადგენდეს ის, რომ დარიალის ხეობა სწორედ მდინარე თერგითაა გამორჩეული; სწორედ ეს მდინარე და მისი მიმდებარე ლანდშაფტი იზიდავდა მოგზაურებს და დღემდე იზიდავს ტურისტებს. დარიალის ჰესის გამო, ხეობა დაკარგავს ფასეულობას, ეს კი, შესაბამისად, აისახება ტურიზმიდან მიღებულ შემოსავლებზე (განსაკუთრებით, ადგილობრივ დონეზე).

პროექტს ექნება ძალზე ძლიერი შეუქცევადი ზეგავლენა „წითელ წიგნში“ შეტანილ

სახეობაზე, ნაკადულის კალმახზე. ამ პრობლემის შესარბილებლად „დარიალი ენერჯი“ გააკეთებს თევზსავალს და თევზსავალის არაეფექტურობის შემთხვევაში – მდინარის კალმახის რეპროდუქციის საწარმოს (თევზსაშენს). ჩვენი აზრით, „დარიალი ენერჯის“ მიერ შემოთავაზებული არცერთი ეს ღონისძიება ადეკვატური არ არის და ბიომრავალფეროვნებისთვის მიყენებულ ზიანს ვერც არბილებს და ვერც აკომპენსირებს.

რა პირობებია გასათვალისწინებელი იმისთვის, რომ ჰესიც აიგოს და დარიალის ხეობაც საფრთხის წინაშე არ დადგეს?

პროექტი უნდა შეჩერდეს და შეიცვალოს მისი ტექნიკური გადაწყვეტა იმგვარად, რომ აღმოფხვრას ყველა ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემა.

შალვა ელოშვილი: არ ჩატარებულა გეოლოგიური კვლევები, არ შესწავლილა ის რისკები, რაც შეიძლება გვირახის გაყვანამ გამოიწვიოს. არსებობს დაუსაბუთებელი ვარაუდები, რომ ტენიანობის დარღვევამ შეიძლება დროთა განმავლობაში კლდეების ჩამოშლა გამოიწვიოს, ასევე მომრავლდეს ქვეწარმავალი. სწორედ ამიტომ ვითხოვთ „დარიალი ენერჯისგან“ საფუძვლიანი კვლევების ჩატარებას.

შესაძლებელია თუ არა პროექტში რაიმე ცვლილების შეტანა, დაგვიანებული ხომ არ არის?

შალვა ელოშვილი: ამჟამად კი „სტეფანწმინდა“ იწყებს კამპანიას, რომლის ფარგლებშიც ჩვენ შევეცდებით მივაწოდოთ ადგილობრივ მოსახლეობას უფრო მეტი ინფორმაცია დარიალის ჰესის პროექტის შესახებ, ასევე იმ ვალდებულებების შესახებ, რომელიც იკისრა ინვესტორმა; ჩვენ ასევე გავაცნობთ მოსახლეობას საკუთარი ინტერესების დაცვის საშუალებებს და მათი გამოყენების გზებს. მიუხედავად იმისა, რომ ნებართვები უკვე გაცემულია, სამოქალაქო საზოგადოების ერთობლივი და მუდმივი ძალისხმევის შედეგად, დარიალის ჰესის პროექტის ცვლილება შესაძლებელია.

თაია მახარაშვილი

opinion.ge

Share 9

Like Send

9 people like this. Be the first of your friends.

One Comment on “თერგის გარეშე დარჩენილი დარიალი და ჰესი, რომელმაც შესაძლოა ხეობის ეკო-სისტემა შეცვალოს”



nana wrote on 27 January, 2012, 12:22